შინაგანი ტაძარი: ადრექრისტიანული ეკლესიოლოგიის ერთი დავიწყებული თემა

ზურაბ ჯაში*

ადრეულ ქრისტიანობაში ეკლესიის შესახებ ჩამოყალიბებული სწავლების ძიებისას არაერთ სირთულეს ვაწყდებით, რადგან ვერ ვპოულობთ მწყობრად განვითარებულ რაიმე სახის თეორიას. ეს განპირობებულია იმით, რომ, როგორც კირილე ჰოვორუნი აღნიშნავს, „საკუთარი თავის შესახებ საუბრისას, ჩვეულებრივ, ეკლესია მეტაფორებს ამჯობინებს თეორიებს“.[1] ადრეულ ხანაში ეკლესია იყო უფრო ცხოვრებისეული გამოცდილების ნაწილი, ვიდრე რეფლექსიის საგანი ისევე, როგორც იყო ქრისტიანული რწმენის სხვა ასპექტები, სანამ რომელიმე მათგანი არ გახდებოდა დავის საგანი. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის არსთან დაკავშირებული საკითხები ისტორიის განმავლობაში არაერთხელ გამხდარა პოლემიკის მიზეზი, თანამედროვე ეპოქა განსაკუთრებით გამოირჩევა ეკლესიოლოგიური განაზრებების სიუხვით.

წინამდებარე სტატიაში მსურს ყურადღება გავამახვილო ორ მნიშვნელოვან პრინციპზე, რომელიც იკვეთება თანამედროვე ეკლესიოლოგიურ მოდელებში და ასევე მოიპოვება ადრექრისტიანულ სწავლებებში. პირველი, ეს არის დებულება, რომ ეკლესია არის ხატი და ანარეკლი მომავალი ღვთის სასუფევლის. და მეორე, ეკლესია კონსტიტუირდება სულიწმინდის მიერ საეკლესიო საიდუმლოებების, უპირატესად, ევქარისტიის მეშვეობით. ამ ორი პრინციპის ერთიანობა ადრეულ ეკლესიოლოგიურ აზროვნებაში გამოხატავდა უძველესი დროიდან დამკვიდრებულ ანალოგიას ცათა სასუფეველში განუწყვეტლივ მიმდინარე ანგელოზებრივ ლიტურგიასა და მიწიერ ტაძარში აღსრულებულ ლიტურგიას შორის. მაგრამ ამ ანალოგიას ჰქონდა ასევე მესამე შემადგენელი კომპო-

* თეოლოგიის დოქტორი. თბილისის სასულიერო სემინარია, zurabjashi@yahoo.com

[1] Hovorun C., Meta-Ecclesiology: Chronicles on Church Awareness, New York, 2015, 3.

ნენტი, რომელსაც უკვე ვეღარ ვხვდებით ეკლესიის თანამედროვე მოდელებში. ეს არის ზეციური ლიტურგიის ანალოგიის დამყარება ინდივიდუალური სულის წიაღში მიმდინარე ასკეტურ-მისტიკურ პრაქტიკასთან. ამრიგად, ვიღებთ ადრეულ ქრისტიანობაში მოძღვრებას „სამი ეკლესიის შესახებ“, როგორც უწოდებს ალექსანდრე გოლიცინი. ერთი ეკლესია არის ზეცაში, მეორე არის მიწაზე ეკლესიის ხილული ინსტიტუტის სახით გამოვლენილი და მესამე არის თითოეული ადამიანის სული.[2]

ვეცდები, ძალიან მოკლედ წარმოვაჩინო ამ სწავლების შინაარსი, როგორადაც ის გვხვდება ახალი აღთქმის ავტორებთან და შემდეგ განვითარდა ეკლესიის მამებთან. ქვემოთ მოყვანილი ციტატები გამოკვეთს რიტუალის ისეთ გაგებას, რასაც ზეკე მაზური უწოდებს „შინაგან რიტუალს“ განსაზღვრულს, როგორც სუბიექტური ცნობიერების „გამოცდილებით შინაარსს, რომლის ნიმუშად დევს გარეგნული რიტუალური ქმედებები“.[3] დასასრულ, მოკლედ შევაჯამებ ამ სწავლების მნიშვნელობას თანამედროვე ეკლესიოლოგიისთვის.

იოანეს სახარების მიხედვით, ქრისტეს სხეული არის ღვთის ტაძარი (იოან. 2:21). მაგრამ ყველაფერი რაც ხდება ქრისტეში და რაც არის ქრისტე, არის ამავე დროს ღვთისგან ბოძებული ძღვენი თითოეული ადამიანისთვის. ადამიანი მოწოდებულია არა უბრალოდ მისი გამოხსნის შედეგების პასიური გათავისებისაკენ, არამედ ასევე თვითონ მისი მხსნელის, „ღვთის ძის ხატის მსგავსების“ მისაღებად, რათა ქრისტე იყოს „პირმშო მრავალ ძმას შორის“ (რომ. 8:29), როგორც ასწავლის პავლე მოციქული. ამიტომ, ის შეგვახსენებს: „ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ, და სული ღვთისა მკვიდრობს თქვენში?“ (1 კორ. 3:16).[4] სხვაგან მოცუქული წერს:

---

[2] Golitzin A., Liturgy and Mysticism: The Experience of God in Eastern Orthodox Christianity, Pro Ecclesia, Vol. VIII, No. 2, 1999, 176.

[3] Mazur Z., Unio Magica: Part II: Plotinus, Theurgy, and the Question of Ritual, Dionysius, Vol. XXII, 2004, 44.

[4] შინაგან ტაძართან დაკავშირებით პავლეს სწავლების შესახებ იხ., Congar Y. M.-J., The Mystery of the Temple or the Manner of God's Presence to His Creatures from Genesis to the Apocalypse, Translated by R.F. Trevett, The Newman Press, 1962, 153-157.

> ღვთის მოწყალებით შეგაგონებთ, ძმებო, ცოცხალ, წმიდა და კეთილსასურველ მსხვერპლად უძღვენით თქვენი სხეული ღმერთს, და ეს იქნება თქვენი გონივრული ღვთისმსახურება. ნუ ემსგავსებით ამ ქვეყანას, არამედ გარდაიქმენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ნება ღვთისა, კეთილი, სათნო და სრული (რომ. 12:1-2).

ამრიგად, ქრისტეს სხეულში დამკვიდრებული შერიგება ცასა და მიწას შორის (კოლ. 1:19-22), რაც საკრამენტულ ენაზე ნიშნავს ევქარისტიაში მისი ღმრთეების სისავსის გაცხადება-გაზიარებას და, შესაბამისად, ლიტურგიულ მსახურებაში ზეციური საღვთო ლიტურგიის გაცხადებას, ასევე გულისხმობს შერიგების მესამე კომპონენტს – ლიტურგიაში მონაწილე პირის ინდივიდუალურ ცნობიერებას და სხეულს, როგორც მთელს, რომელიც ასევე არის ეკლესიის საზოგადო სხეულის ასო.

მეორე საუკუნიდან მოყოლებული, განსაკუთრებით კლიმენტი ალექსანდრიელის შემდეგ,[5] ეკლესიის მამები საგანგებო ყურადღებას უთმობენ თითოეული ქრისტიანის, როგორც ღვთის ტაძრისა, და მის სულში აღსრულებული შინაგანი ლიტურგიის თემას თავიანთ მისტიკურ ღვთისმეტყველებაში. ნიმუშად გთავაზობთ სხვადასხვა საუკუნესა და კულტურულ გარემოში რამდენიმე ავტორის მიერ გამოთქმულ სწავლებებს.

მესამე საუკუნეში, პლატონიკოსი ფილოსოფოსის, კელსუსის წინააღმდეგ პოლემიკაში ორიგენე აღნიშნავს:

> ის ვერ ხედავს, რომ ჩვენი საკურთხევლები არის ყოველი მართალი ადამიანის გონება, საიდანაც აღევლინება ჭეშმარიტი და გონისმიერი კეთილსურნელი საკ-

[5] კლიმენტი ალექსანდრიელის ინტერიორიზებული ლიტურგიის შესახებ იხ., Bucur B.G., The Other Clement of Alexandria: Cosmic Hierarchy and Interiorized Apocalypticism, Vigiliae Christianae, Vol. 60, 2006, 251-268.

> მეველი და ლოცვები განწმენდილი სინდისით. ამიტომ ამბობს იოანე გამოცხადებაში: „და საკმეველი არის წმინდანთა ლოცვები“ (გამოცხ. 5:8); და მეფსალმუნე: „წარიმართოს ჩემი ლოცვა საკმევლად შენ წინაშე“ (ფს. 140:2). ღვთისთვის შესაფერისი ხატები და აღთქმები, რომლებიც არათუ უმეცარი ხელოსნების მიერაა გაკეთებული, არამედ ჩვენშია გაცხადებული და ჩანერგილი ღვთის სიტყვისგან (ლოგოსისგან), არის სათნოებები, – ბაძვანი „მთელი ქმნილების პირმშოსი“ (კოლ. 1:15), რომელშიც არის სამართლიანობის, თავშეკავების, სიმხნევის, სიბრძნის, ღვთისმოსაობისა და დანარჩენი სათნოებების ნიმუშები. ამგვარად, ეს ხატებანი არის ყველა მათგანში, ვინც, ღვთის ლოგოსის თანახმად, საკუთარი თავისთვის შექმნა თავშეკავების, სამართლიანობის, სიმხნევის, სიბრძნისა და ღვთისმოსაობის, და ასევე სხვა სათნოებათა ნაყოფნი. ჩვენ გვწამს, რომ ასეთებისთვის უპრიანია ყოველი ხატის პირველსახის „უხილავი ღმერთის ხატის“ (კოლ. 1:15), „მხოლოდშობილი ღმერთის“ (ინ. 1:18) თაყვანისცემა.[6]

მეხუთე საუკუნეში მაკარი ეგვიპტელის სახელით ცნობილ ჰომილიებში ვკითხულობთ შემდეგ სიტყვებს: „ეკლესია ითქმება როგორც მრავალი, ასევე ერთი სულის მიმართ. რამეთუ სული, რომელიც შემოკრებს ღვთის აზრებს, ასევე არის ღვთის ეკლესია ... ასე რომ, ეს სიტყვა (ეკლესია) აღნიშნავს როგორც მრავალს (პიროვნებას), ასევე ერთს“.[7] სხვაგან ის უფრო ვრცლად განმარტავს კავშირს ეკლესიის ხილულ ლიტურგიულ-კანონიკურ მოწყობასა და მორწმუნის სულის შინაგან მოწყობას შორის:

---

[6] ორიგენე, კელსუსის წინააღმდეგ, 8. 17. ტექსტი ითარგმნა შემდეგი გამოცემიდან: Origenes, Contra Celsum, Libri VIII, Edidit M. Marcovich, Leiden, 2001, 534-535.

[7] Die 50 geistliche Homilien des Makarios, Hrsg. von E. Klostermann, H. Dörries, Berlin, 1964, 115-116.

> ხილული საგნები სახე და აჩრდილია დაფარულთა, და ხილული ტაძარი – გულის ტაძრის სახე, მღვდელი ქრისტეს მადლის მატარებელი ჭეშმარიტი მღვდლის სახეა, ხოლო მთელი ხილული მოწყობის წესრიგი შინაგანი ადამიანის გონისმიერი და დაფარული საგნების ხატი. ამიტომ ჩვენ ვღებულობთ ეკლესიის ხილულ მოწყობას და მართვა-გამგეობას, როგორც სიმბოლოს იმისას, რაც ხდება ადამიანის სულში ღვთის მადლით.[8]

მომდევნო მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ციტატა ეკლესიოლოგიური აზრის ტრადიციაში უაღრესად ავტორიტეტული ტექსტიდან, „არეოპაგიტული კორპუსიდან“, რომელშიც პირველად ყალიბდება თვითონ ტერმინი იერარქია. ავტორი აქაც პარალელს ავლებს ეკლესიის გარეგნული მოწყობის პედაგოგიურ დანიშნულებასა და ადამიანის გონების სულიერ განათლებას შორის:

> შეუძლებელია ადამიანის გონებისთვის ზეციური იერარქიების მიბაძვით მოწყობა, თუ მას არ ექნება ხილული და ნივთიერი წინამძღვარი, რომელიც მისთვის შესაფერია, გაიაზრებს რა მის ხილულ მშვენიერებას, როგორც ანარეკლს უხილავი ბრწყინვალეებისა, გრძნობით კეთილსურნელებას, როგორც გონისმიერი წილმქონეობის ანაბეჭდს, ნივთიერ სინათლეს, როგორც არამატერიალური სინათლის ნიჭის ხატს, წმინდა სწავლებებს, როგორც გონების გონისმიერ სრულყოფას, სასულიერო პირთა გარეგნულ დასებს, როგორც სახეს გონების ჰარმონიული და მოწესრიგებული ჩვეულებისა, რომელიც მოწყობილია საღვთო საგნებისათვის, და ჩვენს ზიარებას უწმინდესი ევქარისტიისა, როგორც იესოსთან ზიარებას.[9]

---

[8] Makarios/Symeon, Reden und Briefe: Die Sammlung I des Vaticanus Graecus 697 (B), Zweiter Teil, Hrsg. von H. Berthold, Berlin, 1973, 140.

[9] ფს.-დიონისე არეოპაგელი, ზეციური მღვდელმთავრობის შესახებ, I. 3. ტექსტი ითარგმნა შემდეგი გამოცემიდან: Ps.-Dionysius Areopagita, De

და ბოლოს, არეოპაგელის კვალობაზე წმინდა მაქსიმე აღმსარებელი თავის „მისტაგოგიაში“ საგანგებო მსჯელობას უთმობს ტაძრის ლიტურგიულ არქიტექტურასა და ადამიანის სამნაწილედ აგებულებას – სხეული, სული და გონება – შორის პარალელების გავლებას:

> და კვლავ, მეორე ხედვის მიხედვით, ადამიანი ითქმება ღვთის წმინდა ეკლესიად, რომელსაც, როგორც ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის ხატებისა და მსგავსების მქონეს, სულად აქვს საკურთხეველი, გონებად – საღვთო ტრაპეზი, ხოლო სხეულად – ტაძარი. ტაძრის მეშვეობით, როგორც სხეულის მეშვეობით, წარვემატებით ზნეობრივ ფილოსოფიაში, ხოლო საკურთხევლის, როგორც სულის მეშვეობით, სულიერად მიგვიძღვის ბუნებითი ჭვრეტისკენ, ხოლო გონების მეშვეობით, როგორც საღვთო ტრაპეზის მეშვეობით, განგვიცხადებს საიდუმლო ღვთისმეტყველებას.[10]

თითოეული აქ მოყვანილი ტექსტი საჭიროებს სიღრმისეულ ანალიზს და ინტერპრეტაციას საკუთარ სააზროვნო და ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში, რისი საშუალებაც ამჟამად არ გვაქვს. მაგრამ ვფიქრობ, აქ მოყვანილი მაგალითები საკმარისია, დავრწმუნდეთ იმაში, თუ როგორი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შინაგანი ლიტურგიის თეოლოგიას საეკლესიო გადმოცემაში. ახლა ვიკითხოთ: რა თვალსაზრისით შეიძლება აქტუალური იყოს ეს სწავლება თანამედროვე ეკლესიოლოგიისათვის? დასკვნის სახით შემოვიფარგლებით მოკლე შეჯამებით.

Coelesti Hierarchia, De Ecclesiastica Hierarchia, De Mystica Theologia, Epistulae, 2. Auflage, Hrsg. G. Heil, A. M. Ritter, Berlin, 2012, 8-9.

[10] წმ. მაქსიმე აღმსარებელი, მისტაგოგია 4. 264-272. ტექსტი ითარგმნა შემდეგი გამოცემიდან: Maximi confessoris mystagogia, una cum latina interpretatione Anastasii Bibliothecarii, edita a Ch. Boudignon, Corpus Christianorum, Series Graeca, 69, Turnhout: Brepols Publishers, 2011, 18.

პაპი ემერიტუსის, ბენედიქტე XVI-ის ეკლესიოლოგიური ხედვის თანახმად, პიროვნება ეკლესიაში კონსტიტუირდება როგორც სხვასთან „ურთიერთობაში მყოფი“. ინდივიდის მიერ ქრისტიანობაზე მოქცევის მისეული გადაწყვეტილება არ არის უბრალოდ მისი შინაგანი ინდივიდუალური აქტი, არამედ ის „შედის მორწმუნე კრებულის უკვე არსებულ გადაწყვეტილებასთან ზიარებაში“.[11] ამრიგად, ეკლესიაში პიროვნება განიცდის ექსისტენციალურ ფერიცვალებას: თავისთავში ჩაკეტილი ინდივიდიდან ის იქცევა სხვისგან მიმღებ და სხვისკენ გამცემ პიროვნებად. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვიკითხოთ: რა სულიერი პრაქტიკა შეაძლებინებს ადამიანს, გათავისუფლდეს საკუთარი თვითკმარი ინდივიდუალობისგან? ანუ რაში გამოიხატება ღვთის სიყვარულზე მისი საპასუხო გაცემის აქტი? ევქარისტიაში მონაწილეობისას ის იღებს ღვთის მიერ ბოძებულ ადამიანის გამომხსნელ ძღვენს ეკლესიის კრებულის გავლით. მაგრამ როგორ უბრუნებს ის აქტიური ლიტურგიული ქმედების სახით საკუთარ სიყვარულს ღმერთს, რომელიც გამოითქმებოდა ქალწულ მარიამის სიტყვებით: „იყავნ ნებისაებრ შენისა“?

წმ. მაქსიმე აღმსარებელი ადამიანის მადლით განღმრთობის მისაღწევად ღვთის ძღვენზე ამგვარ საპასუხო ქმედებას არ მიიჩნევს ადამიანის ავტონომიისა და თვითუფლებრიობის გაუქმებად: „რადგან არ ვამბობ, რომ მოხდება თვითუფლებრიობის განადგურება (οὐ γὰρ ἀναίρεσιν τοῦ αὐτοεξουσίου), არამედ უმალ დადგინდება მყარი და უცვლელი ბუნებითი [ნება]“. ამგვარი აქტი შეიცავს პარადოქსს, რომელიც მაქსიმეს ფორმულირებით არის „ნების ნებაყოფლობით დათმობა“ (ἐκχώρησις γνωμικήν).[12] ზემოთ მოყვანილი ადრექრისტიანული სწავლებები იძლევა ნათელ პასუხს. სწორედ ამ პარადოქსის გამოხატულებას წარმოადგენს შინაგანი ლიტურგია, როდესაც თითოეული მორწმუნე მისი საეკლესიო ხარისხის თუ სქესის მიუხედავად, საკუთარ სულსა და სხეულში

[11] Ratzinger J., Theologische Prinzipienlehre: Bausteine zur Fundamentaltheologie, München, 1982, 38.

[12] წმ. მაქსიმე აღმსარებელი, სიძნელე, 7, 12.3. ტექსტის კრიტიკული გამოცემისთვის იხ., Maximos the Confessor, The Ambigua, Vol. I, Edited and Translated by N. Constas, London, 2014, 90.

ასკეტურ-მისტიკური ღვაწლით აღსრულებული სამღვდელო მსახურებით პასუხობს ქრისტეს მღვდელმთავრულ ქმედებას, გაცხადებულს საეკლესიო ღვთისმსახურებაში და ამგვარად თანამოქმედებს ღმერთთან მისი ახალი პიროვნების ქრისტეში ფორმირების აქტში, როდესაც მას შეეძლება პავლესთან ერთად წარმოთქვას: „მე კი აღარა ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში“ (გალ. 2:20). ვფიქრობ, ადრექრისტიანული ეკლესიოლოგიის ამ განზომილების შემდგომი კვლევა და რეცეფცია თანამედროვე ეკლესიაში შეგვაძლებინებდა დღეს არსებულ სხვადასხვა სახის მნიშვნელოვან გამოწვევაზე შემოქმედებითი პასუხის გაცემას.

THE TEMPLE WITHIN: A FORGOTTEN THEME OF EARLY CHRISTIAN ECCLESIOLOGY

Zurab Jashi*

In the modern ecclesiological theories, there is chiefly accentuated the vision of the church as an institution and its order, which is supposed to mirror the future kingdom of God. Recently, the different models of eucharistic ecclesiologies have become particularly fashionable. They are centered on the liturgical celebration of the eucharist as a self-constituting act of the church. However, they pay almost no attention to the spiritual disposition of the members of the church who participate in the eucharist. In this article, I try to briefly demonstrate the contribution of the early Christian practice of the interiorization of liturgy to the search for a creative response to the challenges of the contemporary church.

Keywords: Church, Eucharist, Interiorized Liturgy, Asceticism, Spiritual Practice.

* Doctor of Theology.Tbilisi Theological Academy, zurabjashi@yahoo.com